„OPD12/15-001 2 დეკემბერი 2015 წ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს

**გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა**
(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად, გთხოვთ მოგვაწოდოთ „თავისუფლების ქარტია“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში შექმნილი კომისიის საქმიანობის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაცია:

1) **საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2014 წლის 28 თებერვლის N167 ბრძანებით დამტკიცებული კომისიის დებულების მე-3 მუხლის შესაბამისად 2014-2015 წლებში (ცალ-ცალკე) რამდენი სხდომა იქნა გამართული აღნიშნული კომისიის მიერ;**
2) **კომისიის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ა ქვეპუნქტის მიხედვით შეიქმნა თუ არა იმ პირთა რეესტრი რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ ან ფარული კავშირი ჰქონდათ ყოფილი სსრკ-ის სპეციალურ სამსახურებთან;**
3) **კომისიის დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად 2014-2015 წლებში (ცალ-ცალკე) რამდენი პირის შესახებ მონაცემები იქნა შეტანილი რეესტრში, რომლებიც საიდუმლოდ თანამშრომლობდნენ ან ფარული კავშირი ჰქონდათ ყოფილი სსრკ-ის სპეციალურ სამსახურებთან;**
4) **კომისიის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ბ ქვეპუნქტის მიხედვით დაიწყო თუ არა ინფორმაციის შეგროვება ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ტოტალიტალური ან/და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი სიმბოლიკის, აგრეთვე სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობების საკუთრებაზე გამოყენების თაობაზე, ასევე საკულტო ნაგებობების, ძეგლების, მონუმენტების, ბარელიეფების, წარწერების შესახებ, ქუჩების, მოედნების, სოფლებისა და დაბების სახელწოდებების, აგრეთვე მასობრივი თავშეყრის სხვა ადგილების თაობაზე, რომლებიც შეიცავს კომუნისტური ტოტალიტარული და ფაშისტური იდეოლოგიების და პროპაგანდის ელემენტებს თუ ამ იდეოლოგიების ლიდერთა სახელებს;**
5) **კომისიის დებულების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად 2014-2015 წლებში (ცალ-ცალკე) რამდენ უფლებამოსილ პირს გაეგზავნა მიმართვა კომუნისტური ტოტალიტალური და ფაშისტური იდეოლოგიების მატარებელი სიმბოლიკის, ძეგლების, ბარელიეფების, წარწერების, სახელწოდებების აღმოფხვრის მიზნით.**

აღნიშნული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად გთხოვთ ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მოგვაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე - info@idfi.ge , ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით.
გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მზად არის, გადაიხადოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

დირექტორი“